# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

15 მარტი, პარასკევი, 1991 წ.
№ 47 (10460) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ეს-ესაა შევიტყვეთ...

### ბრძოლა „პლეი-ოფ"-ის საგზურებისთვის

ნბა-ს ლიგის კალათბურთელთა ჩემპიონატის პირველი ეტაპი გადამწყვეტ ფაზაში შედის. სამმა კლუბმა უკვე გაინაღდა „პლეი ოფ"-ის სერიის მატჩებში მონაწილეობის უფლება. ესენი არიან ატლანტის, ცენტრალური და წყნარი ოკეანის დივიზიონების ლიდერები, შესაბამისად, „ბოსტონ სელტიკსი", „ჩიკაგო ბულსი" და „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი".

დანარჩენი კლუბები მეტ-ნაკლები წარმატებით იბრძვიან იგივე უფლებისათვის. არადა, როგორც ცნობილია, ყოველი კონფერენციიდან გათამაშების შემდგომ ეტაპზე გადის 8-8 გუნდი.

მკითხველმა ალბათ იცის, რომ პროფესიონალთა ჩემპიონატში ათასგვარი რეკორდის რეგისტრაცია ხდება. ერთ-ერთი ასეთი რეკორდი ალინუსხება ე. წ. საგოლე პასებში. იგი 1986 წლისთვის დაამყარა ოსკარ რობერტსონმა: ცამეტ სეზონში 9887 ასეთი პასი განახორციელა. ახლა ამ მიღწევის დამხობა შეუძლია „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერს ირვინ „მეჯიკ" ჯონსონს. დღეისთვის მისი მაჩვენებელია 9671 (ერთ მატჩში საშუალოდ 13,2 საგოლე პასი). სპეციალისტები ფიქრობენ, რომ „მეჯიკი" ოსკარ რობერტსონის რეკორდს წლეულსვე გააუმჯობესებს.

განვლილი ტურის ერთ-ერთი სენსაცია ალბათ, „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" მარცხი გახლავთ. მას 62-ე ტურში აჯობა „ფენიქს სანსმა", რომელიც „პლეი-ოფ"-ში მონაწილეობისთვის იბრძვის —116:108.

ტურის ყველაზე დაძაბული ორთაბრძოლა გაიმართა ჩიკაგოში, სადაც ადგილობრივმა „ბულსმა" უმასპინძლა „მილუოკი ბაქსს" და დიდის გაჭირვებით გაიმარჯვა — 102:101.

შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსებს ინარჩუნებს ნბა-ს ლიგის შარშანდელი ჩემპიონი „დეტროიტ პისტონსიც", რომელმაც ბოლო ტურში დივიზიონის აუტსაიდერს „შარლოტას" აჯობა — 94:83.

გთავაზობთ სხვა შედეგებს: „ნიუ-იორკი" — „ფილადელფია" 102:94, „დალასი" — „სიეტლი" 98:96, „იუტა" — „ბოსტონი" 112:109, „ლოს-ანჯელეს კლიპერსი" — „სან ანტონიო" 97:93.

#### აღმოსავლეთის კონფერენცია

##### ატლანტის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| „ბოსტონი" | 47 | 17 | 784 |
| „ფილადელფია" | 34 | 28 | 548 |
| „ნიუ-იორკი" | 31 | 32 | 492 |
| „ვაშინგტონი" | 23 | 39 | 371 |
| „მაიამი" | 20 | 42 | 323 |
| „ნიუ-ჯერსი" | 19 | 43 | 306 |

##### ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჩიკაგო" | 46 | 15 | 754 |
| „დეტროიტი" | 40 | 24 | 625 |
| „მილუოკი" | 38 | 26 | 594 |
| „ატლანტა" | 35 | 28 | 556 |
| „ინდიანა" | 29 | 33 | 468 |
| „კლივლენდი" | 22 | 40 | 355 |
| „შარლოტა" | 18 | 44 | 290 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



#### დასავლეთის კონფერენცია

##### შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| „სან ანტონიო" | 40 | 20 | 667 |
| „იუტა" | 41 | 21 | 661 |
| „ჰიუსტონი" | 37 | 24 | 607 |
| „დალასი" | 23 | 38 | 377 |
| „ორლანდო" | 21 | 40 | 344 |
| „მინესოტა" | 19 | 41 | 317 |
| „დენვერი" | 17 | 44 | 279 |

##### წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| „პორტლენდი" | 46 | 16 | 742 |
| „ლ-ა. ლეიკერსი" | 45 | 18 | 714 |
| „ფენიქსი" | 43 | 19 | 694 |
| „გოლდენ სტეიტი" | 33 | 28 | 541 |
| „სიეტლი" | 30 | 32 | 484 |
| „ლ-ა. კლიპერსი" | 22 | 41 | 349 |
| „საკრამენტო" | 17 | 43 | 283 |

მიმოხილვა მომზადებულია „ინტერნეშნლ სპორტს ნიუსის" მიხედვით. მასალები მივიღეთ საქართველოს ინფორმატიკისა და ტელეკომუნიკაციის ინსტიტუტთან თანამშრომლობით.

---

რეფერენდუმის წინ

## არ გავცვლი ჩემსა სამშობლოს...

საქართველოში დავიბადე და აღვიზარდე, ეროვნებით ბერძენს, მთელი სიცოცხლის მანძილზე გულშიც არ გამივლია ჩემი მეორე სამშობლოს — საქართველოს ღალატი. როგორ შეიძლება არ გიყვარდეს და გვერდში არ ამოუდგე ქართველ ერს, რომელმაც თავის მადლიან მიწაზე მრავალი სხვისი შვილი შეიკედლა და უპატრონა, როგორ შემიძლია ვუღალატო იმ დიდ ტრადიციასა და სიყვარულს, რაც ქართველ და ბერძენ ხალხს ოდითგანვე გააჩნია.

დღეს, როცა საქართველოს უჭირს, მეც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მის გვერდით ვიქნები, სხვაგვარად ფიქრიც არ შეიძლება. უდავოა, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა ბერძენი ერთსულოვნად დაუჭერს მხარს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის რეფერენდუმს. ეს იქნება დასტური იმ დიდი სიყვარულისა და მხარდაჭერისა, რასაც ბერძნები ქართველი ერისადმი იჩენენ.

დაე, ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ ვერც გაგვთიშავენ და ვერც ჩვენზე იბატონებენ!

„მოღალატეს რისხავდეს სამება!"
„გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!"
„ჩვენთან არს ღმერთი!"

**თენგიზ ხარლამიდი,**
ქუთაისის საჭადრაკო კლუბ „მაიას" დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭადრაკში.

---

## 31 მარტს, ერთსულოვნად

ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების თბილისის დამოუკიდებელი გაერთიანებული პროფკავშირის მრავალეროვანი, 4000-კაციანი კოლექტივი გავეცანით გაზეთ „ლელოს" თანამშრომელთა მიმართვას რესპუბლიკის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისადმი. 31 მარტს ერთსულოვნად მივიღებთ მონაწილეობას რესპუბლიკურ რეფერენდუმში და ხმას მივცემთ საქართველოს სახელმწიფოებრივ აღდგენას.

ამასთან გაცნობებთ, რომ არ მივიღებთ მონაწილეობას 17 მარტს საკავშირო რეფერენდუმში.

**ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების თბილისის დამოუკიდებელი გაერთიანებული პროფკავშირის კომიტეტი.**

---

ხალხის ქონება — ხალხს!

## ნაგებობებს ზურგზე ვერ მოიკიდებენ

ახლახან საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროში სპორტსაზოგადოება „მართვეს" სახელზე მოსკოვიდან „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს დადგენილება მოვიდა. დადგენილებაში ვკითხულობთ: **„გადაეცეს საქართველოს სპორტსაზოგადოება „მართვეს" რესპუბლიკურ საბჭოს პირად საკუთრებაში 1991 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ძირითადი ფონდები (4214,5 ათასი მან.), მიმოქცევის სახსრები (9,1 ათასი მან.), იაფად ღირებული და სწრაფად ცვეთადი ქონება (86,5 ათასი მან.), ასევე ფულადი სახსრები და ბიუჯეტის მოგება და წაგება".**

თქმა არ უნდა, სასიამოვნოა, როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში არსებული სპორტული ბაზების ბატონპატრონები ჩვენვე ვხდებით, მაგრამ ეს ყველაფერი „ცენტრის" კეთილი განწყობითა და გულმოწყალებით რომ არ მოხდებოდა, ესეც ყველას კარგად ესმის.

სპორტსაზოგადოება „მართვეს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მურთაზ მნათობიშვილის კომენტარი: —ისე არ გამიგოთ, თავს ვიწონებთ. ეგაა, შეიძლება ჩვენი გამოცდილება სხვასაც გამოადგეს. გარდამავალი პერიოდის დაწყებისთანავე მოვსინჯეთ ნიადაგი, რათა რესპუბლიკის გამგებლობაში გადმოეცათ ჩვენს ტერიტორიაზე გაშენებული სპორტული ბაზები. ცენტრმა ღირებულების გადახდა მოგვთხოვა. უსახსრობის მომიზეზებით ჩვენი უარის შემდეგ შემოგვთავაზეს მეორე წინადადება — ხელშეკრულებით ათი წლის განმავლობაში დაგვეფარა დავალიანება, მაგრამ არც ამაზე დავთანხმდით. შენობა-ნაგებობებს მოსკოვში ხომ ვერ გადაიტანდნენ, მათაც ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და, როგორც ხედავთ, დადგენილებაც მოვიდა.

---



„ლელოს" მკითხველებმა იციან იმ ტრაგედიის შესახებ, რაც ახალგაზრდა ძიუდოისტს გიგა რთველიაშვილს შეემთხვა. შეჯიბრების დროს მიღებულმა ტრავმამ 20 წლის ახალგაზრდა ლოგინს მიაჯაჭვა. მას შემდეგ, რაც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ფალავანის წერილი დავბეჭდეთ, ქვეყანამ შეიტყო მისი ამბავი, ბევრმა გაუწოდა დახმარების ხელი, საქართველოს სპორტსახკომმა დიდ დიღომში ოროთახიანი ბინა და ოჯახს მსუბუქი ავტომანქანა გამოუყო, ჰიდაობის გაერთიანებამ კი ყოველთვიური სტიპენდია — 150 მანეთი დაუნიშნა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ასეთი ადამიანებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მორალური მხარდაჭერა.

გუშინ ავადმყოფი მოინახულა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. უწმინდესი და უნეტარესი მამობრივად ესაუბრა გიგას, დალოცა იგი, უსურვა გამოჯანმრთელება და საჩუქრად ბიბლია გადასცა.

გიგა კვლავ ახსოვს კეთილ ადამიანებს, მასზე კვლავ ზრუნავენ, ბანკში მის სახელზე გახსნილია სავალუტო ანგარიში, რადგან საბჭოთა კავშირში დახმარების ყველა შესაძლებლობა ამოიწურა და ახლა მხოლოდ იმედად საზღვარგარეთი რჩება.

გიგა იმედით შეჰყურებს ხვალინდელ დღეს და სწამს, რომ უთუოდ გამოჯანმრთელდება.

ღმერთმა უსმინოს!

---

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**როგორც ცნობილია, დღეს, 15 მარტს, მოწვეულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა. სპორტულ ჟურნალისტებს ვთხოვთ ყრილობაზე დასასწრები მოსაწვევისთვის მიაკითხონ „ლელოს" რედაქციას, დღესვე, 11 საათიდან.**

**სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია**

---

## ერთობა სიძლიერის გარანტიაა

მართლაც რომ საჭირო იყო ახალი საფეხბურთო სეზონის წინ საქართველოს საფეხბურთო სამყაროს შეკრება. რომლისკენაც ზუგდიდის საფეხბურთო კლუბმა „ოდიშმა" მოუწოდა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე კლუბებს. 9 მარტს ზუგდიდში უმაღლესი ლიგის თითქმის ყველა საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტმა და გულშემატკივართა კლუბების პრეზიდენტებმა მოიყარეს თავი. სალაპარაკო და საკამათოც მრავლად იყო, მაგრამ ყურადღება ძირითადად მომავალი ჩემპიონატის უკეთ წარმართვაზე გამახვილდა. ამაში კი უდიდესი წვლილი სწორედ კლუბებმა და მათმა გულშემატკივრებმა უნდა შეიტანონ. ისაუბრეს, აგრეთვე, ბავშვთა ტურნირების რაოდენობის გაზრდის შესახებ, რაც ქართული ფეხბურთის საიმედო მომავლის უცილობელი გარანტიაა. გალის საფეხბურთო კლუბ „მზიურის" პრეზიდენტმა მოუწოდა ყველას, რომ მონაწილეობა მიიღონ მარტის ბოლოს გალში გამართულ ბავშვთა საფეხბურთო ტურნირში.

გადაწყდა, შეიქმნას საფეხბურთო კლუბების პრეზიდენტთა ასოციაციის საინიციატივო ჯგუფი. ასოციაციას ექნება თავისი პროგრამა, წესდება, რათა მას იურიდიული უფლებამოსილება მიეცეს. ეს გარკვეულწილად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც დაეხმარება ეროვნული ჩემპიონატის რიგანად წარმართვაში.

---

ინფორმაცია

გელა ღუბელაძე, ლექსო ლომსაძე, ზვიად ცაკურია, ლაშა ბარბაქაძე, —ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის ამ მოსწავლეებმა გაიმარჯვეს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ტურნირებში. მეორე ადგილზე გავიდნენ რამაზ ათოშვილი და დათო ბუკია, მესამე იყო ლაშა უბილავა. შეჯიბრებები გომელსა და ხარკოვში გაიმართა.

**ანზორ ხანიკიძე,**
**ხობი.**

---

## ნახევარქულიანი ჰანდიკაპი

ლინარესი. ერთი ტურიც და დამთავრდება ესპანეთის ამ ქალაქში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა სუპერტურნირი, რომელშიც ასპარეზობს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა დიდი ნაწილი და ამის გამო ჭადრაკის მოყვარულთა ცხოველ ინტერესს იწვევს.

მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. როგორც ვიუწყებოდით, ვასილ ივანჩუკი საკმაო უპირატესობას ინარჩუნებდა მიხეილ გურევიჩთან შეწყვეტილ ბრძოლაში. მეორე დღეს პარტია არ განახლებულა, ვინაიდან გურევიჩმა თავი დამარცხებულად სცნო. ამ გამარჯვების შემდეგ ივანჩუკი დაწინაურდა სატურნირო ცხრილში.

შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს გატა კამსკის (აშშ) ორი შეხვედრა ჰქონდა დასამთავრებელი მსოფლიოს ექსჩემპიონ ანატოლი კარპოვთან და ალექსანდრე ბელიავსკისთან. კამსკი ორივე პარტიაში დამარცხდა. დასკვნითი ტურის წინ ლიდერთა შორის ასეთი მდგომარეობაა: ვასილ ივანჩუკი—9 ქულა, გარი კასპაროვი—8,5, ალექსანდრე ბელიავსკი — 8, არტურ იუსუპოვი, ჯონათან სპილმენი (ინგლისი) — 7-7.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ტურში კასპაროვი ხვდება იუსუპოვს, ივანჩუკი — ტიმანს. საინტერესოა, ეყოფა თუ არა ივანჩუკს ნახევარქულიანი ჰანდიკაპი გამარჯვებისთვის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვახსოვხართ, ჩემპიონებო!



# დარტანიანი... ჭავჭავაძის ქუჩიდან

**ძნელად** თუ მოიძებნება ისეთი კინოფილმი, რომელსაც უფრო ცხოველმყოფელი კვალი დაემჩნია 40-იანი წლების თბილისელი ახალგაზრდობისთვის, ვიდრე ფრანგულ „სამ მუშკეტერს". იმდროინდელ დედაქალაქში გასართობი და თავშესაქცევი არცთუ მრავლად იყო. მართალია, მთელი თბილისის ახალგაზრდობა სპორტით უმთავრესად კი „ქალაქური ფეხბურთით" იყო გატაცებული, მაგრამ მუხლგადატყავებული ონავრები მუდმივად ახლის ძიებაში იყვნენ, რათა გაემრავალფეროვნებინათ თავისუფალი დროის მოკვლის საშუალებათა მწირი „არსენალი".

ამიტომაც იყო, ამ სურათის ნახვის შემდეგ თბილისის კინოთეატრებიდან თვალებგაფართოებული, აოცებული ბიჭები სახლში დაბრუნებისთანავე სარდაფებსა და სხვენებს რომ მიაკითხავდნენ, ძველებურ სკივრებს გადმოაქოთებდნენ, რათა წაგრძელებული, წვეტიანი რკინა ეპოვნათ. თუ რომელიმე მათგანი გახუნებულ, ნაჭრისგან შეკერილ ქუდზე ქათმის ბუმბულს მიამაგრებდა და ჯვარდახატულ მოსასხამსაც „გაახერხებდა", დარტანიანის თუ არა, თანატოლ უბნელებში არამისის სახელს ვერავინ შეეცილებოდა.

დიახ, ასე მომრავლდნენ მაშინ თბილისში „მუშკეტერები". ბევრ მათგანს, კინოფილმის გმირებზე შეყვარებულთ, არ ასვენებდათ ოცნება — ცხოვრების ისეთი გზა აერჩიათ, რომ ბედი სამუდამოდ დაეკავშირებინა დაშნისათვის. ამის ერთადერთი რეალური შანსი ფარიკაობაში ვარჯიშის დაწყება იყო, მაგრამ იმხანად, ომგადახდილ ქვეყანაში არცთუ მრავლად იყო ფარიკაობის სექციები, არც მწვრთნელები იყვნენ ბევრნი... ჩანაფიქრის განსახორციელებლად მარტოოდენ ოცნება არ კმაროდა და არც ყოველთვის ქუჩიდან მიდიოდა პირდაპირი გზა დიდ სპორტში...

ნუგზარ ასათიანმა ზემოხსენებული „ქუჩის სკოლა" გაიარა, ვიდრე ოლიმპიური ჩემპიონის კვარცხლბეკზე აბიჯებდა...

**● ბატონო ნუგზარ ვიცით, რომ ქართული ხაფარიკაო სკოლის მაშინდელი მიღწევები ბევრწილად ცნობილი მწვრთნელის ბიჭიკო მეხშის სახელს უკავშირდება. თქვენც მან გაზიარათ სპორტს...**

— ჩემი თაობის სპორტსმენთა დიდი ნაწილი სპორტში ისე მოხვდა, როგორც მე. სხვადასხვა საზოგადოების მწვრთნელებს მაშინ წესად ჰქონდათ საშუალო სკოლებში სიარული, ფიზკულტურის გაკვეთილზე დასწრება და მათთვის სასურველი გოგო-ბიჭების შერჩევა. ბიჭიკო მეხშმა მე-6 ვაჟთა სკოლას მოაკითხა, ვაჟთაგან, რატომღაც მე, გურამ კოსტავა, მორის სახვაძე და ოთარ კიკალეიშვილი მოვუვედით თვალში, თუმცა, მაშინ მთელი სკოლა ფარიკაობდა, რაც ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებლის ვახტანგ მარსაგიშვილის დამსახურება გახლდათ. იგი ყველანაირად ხელს გვიწყობდა, რათა სპორტს ვზიარებოდით. ამიტომაც იყო, ბატონ ბიჭიკოს ფიზიკურად სალები და მომზადებულები რომ „ჩაბარა" თავისი მოსწავლეები. ჩემთვის დაუვიწყარია, აგრეთვე შოთა დარასელიას ამაგი. აი, ასე ავიღე ხელში ნამდვილი დაშნა.

**● დაშნა თუ ხმალი?**

— საბოლოოდ არჩევანი ხმალზე შევაჩერე. არ ვიცი, რატომ და, მეგონა, რომ იგი უფრო „ხედგამოჭრილი" იყო ჩემთვის. გუმანმა არ მიმტყუნა და არც შემდეგში შემიცვლია ჩემი საყვარელი იარაღი.

**● ფარიკაობის სიყვარული, ქართველი მოფარიკავეების თვალსაჩინო წარმატებები საერთაშორისო ასპარეზზე, და, საერთოდ, ქართული ხაფარიკაო სკოლის ავტორიტეტი და მონაგარი, ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ ხმალს ოდითგანვე ატარებდა იყო ქართველი კაცი — მუდმივ ომებში გამობრძმედილი ვაჟკაცი...**

— დაგეთანხმებით. იქნებ მართლაც გენებმა იძალა ჩვენში — პატარა თბილისელ ბიჭებში, როცა „სამი მუშკეტერის" ნახვის შემდეგ ყველამ დაშნისმაგვარ ლითონის ნაჭრებს დავუწყეთ ძებნა. ასე თუ ისე, ქართველი მოფარიკავეების წარმატებათა ახსნა „გენეტიკური ფონდის" გაუთვალისწინებლად სწორი არ იქნება.

**● როდის დაედო საფუძველი თქვენს გამარჯვებებს?**

— პირველ ოფიციალურ შეჯიბრებაში 1952 წელს ვიასპარეზე. ქალაქის პირველობა ძველ ეკლესიაში მოწყობილ დარბაზში ტარდებოდა. დიახ, ამგვარი მკრეხელობა იშვიათი არ იყო მაშინ. ამ ტურნირში V ადგილზე გავედი, მაგრამ ესეც დიდ მიღწევად ჩამითვალეს — ვარჯიში მხოლოდ 3 თვის დაწყებული მქონდა.

ორი წლის მერე საბჭოთა კავშირის პირველობაზე ვერცხლის მედალი მოვიპოვე, მომავალ წელს კი ყველა ჩემს თანატოლს ვაჯობე. რა თქმა უნდა, პარალელურად რესპუბლიკურ შეჯიბრებებსაც ვიგებდი. 1959 წელს საკავშირო ნაკრებში მიმიწვიეს და 9 წელი დავყავი იქ. მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონობის გარდა 4-4-ჯერ მოვიგე საკავშირო ჩემპიონატი და თასი.

**● იმ დროს, როცა ნაკრებში გამოდიოდით, ხშირად რამდენიმე ქართველი იცავდა საკავშირო გუნდის სახელს, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მრავალი მაღალი კლასის მოფარიკავე იყო საბჭოთა კავშირში...**

— ხშირად ყოფილა, 7-8 ქართველი ვყოფილვართ ნაკრებში. მართალია, კონკურენცია დიდი იყო, მაგრამ მაინც ვახერხებდით ამას. დღეს კი, სამწუხაროა, რომ მხოლოდ ვლადიმერ აფციაური ეჭიდება უმაღლეს ტიტულებს.

ქართველთა სიმრავლე ნაკრების ხელმძღვანელთა დიდ სიხარულს როდი იწვევდა — უბრალოდ, სხვაზე რამდენიმე თავით მაღლა ვიდექით, მწვრთნელებსაც შედეგებს სთხოვდნენ და იძულებულნი იყვნენ გამარჯვებები ქართველთა მეშვეობით მოეპოვებინათ.

**● სხვას რას იტყვით ვლადიმერ აფციაურზე?**

— იგი უნიჭიერესი სპორტსმენია. არ ვიცი, დამეთანხმებიან თუ არა, ასეთი პარალელი კი მინდა გავავლო: იგი გურამ კოსტავას მაგონებს, მასავით ნიჭიერ, უშიშარ მებრძოლს, მაგრამ მათ — ორივეს, მეტის მიღწევა შეეძლოთ, რაღაცას რომ არ შეეშალა ხელი. ეს რაღაც კი მათსავე ხასიათშია საძიებელი, თუმცა ვლადიმერს კიდევ დარჩა შანსი თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენისა.

**● საკავშირო ნაკრებში, ალბათ, ქართველთა რიგების შეთხელების ცდებიც იყო...**

— როგორც კი რომელიმე ჩვენიანი საკუთარ შესაძლებლობებზე სუსტად იასპარეზებდა, მის წინაშე უმალ დგებოდა ნაკრების დატოვების საფრთხე, მაგრამ ერთმანეთის მხარში ამოდგომით ვცდილობდით ჩვენი გაგვეტანა. არადა, უკიდურეს შემთხვევაში შეგვეძლო გამოსავლის გამონახვა, მაგრამ ჩვენ მისთვის არასდროს არ მიგვიმართავს: საკმარისი იყო, რომელიმე ათვალწუნებულს პირადი მწვრთნელთან ერთად პრესით ან ტელევიზიით ეხსენებინა რუსი მწვრთნელიც, რომ 1-2 წლით კიდევ განაღდებული ჰქონდა ნაკრებში ყოფნა. მაღალი რანგის სპორტსმენის მწვრთნელობა მაშინ უამრავი პრივილეგიის, ხშირად ფუფუნების წყარო იყო, მაგრამ, მერწმუნეთ, არც ერთ ქართველ სპორტსმენს არ უწილადებია პირადი მწვრთნელის ღირსი პატივი გადამთიელისთვის. ჩვენ, უბრალოდ, არჩევნის წინაშეც კი არ ვმდგარვართ. ბოლოს, რაკი გაიგეს ჩვენი „უჯიათი" ხასიათი, თავიანთი წინადადების შემოთავაზებასაც კი ვერ გვიბედავდნენ, თუმცა მრავალი არარუსი ახერხებდა ამ მეთოდით ნაკრებში დარჩენას.

ქართველთა შევიწროებისა და დისკრედიტაციის მცდელობის საუცხოო ნიმუშს გავიხსენებ ჩემი სპორტული წარსულიდან: 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში უნგრეთის უძლიერეს ნაკრებს ვხვდებოდით. დავმარცხდით — 8:9. როგორც წესი, გუნდის ყველა წევრმა 4-4 შეხვედრა ჩავატარეთ: მე და რაკიტამ 3-3 მოვიგეთ, ველიხანოვმა — 1, ვინოკუროვმა — ვერც ერთი. მახსოვს, ნაკრების მარცხით „გულდაწყვეტილი" „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტი წერდა: ასათიანს რომ ბოლო, მეოთხე ორთაბრძოლა მოეგო, ჩვენი გუნდი ჩხვლეტებით გაიმარჯვებდა უნგრელებთან და ფინალში ვიბრძოლებდითო. აი, ეს გახლავთ ცინიზმის კლასიკური მაგალითი. მაინცდამაინც ასათიანს უნდა მოეგო მეოთხე ორთაბრძოლა და არა რაკიტას. ველიხანოვმა რომ 3 შეხვედრა წააგო, ხოლო ვინოკუროვმა ყველა, ამაზე კრინტი არავის დაუძრავს. ქართველი რომ არ ვყოფილიყავი, იქნებ სხვაგან ეძებნათ მარცხის მიზეზი. კერძოდ, ვინოკუროვი ტრავმირებული იყო და შეხვედრის დაწყებამდე მრავალგზის სთხოვა მწვრთნელებს, ნუ გამომიყვანთ, ფორმაში არა ვარო, მაგრამ ამაოდ.

**● ბატონო ნუგზარ, თითქმის ყველა სპორტსმენს ჰყავს, ეგრეთ წოდებული, უხერხული მეტოქე; ხშირად კი, სურვილი, აჯობო ამგვარ მოწინააღმდეგეს იმდენად დიდია, რომ სპორტსმენის ცხოვრების გარკვეული პერიოდი ამ მიზნისკენ არის მიმართული, ვარჯიშის პროცესიც ამ სურვილითაა ნასაზრდოები...**

— ჩემს დროს მრავალი სახელოვანი მოფარიკავე ასპარეზობდა. უბრალოდ, სუსტ მეტოქეს, რომელთანაც წინასწარ ვიცოდი რომ გავიმარჯვებდი, იშვიათად შევხვედრივარ. მაგრამ სულ სხვა იყო პოლონელი ეჟი პავლოვსკი, უნიჭიერესი, დიდებული სპორტსმენი, მგონი, მხოლოდ მასთან მქონდა პირად შეხვედრებში უარყოფითი ბალანსი — ასე ვთქვათ, 10-დან 7-ს ყოველთვის მიგებდა. შემთხვევითი არ არის, რომ იგი უკანასკნელი 30 წლის საუკეთესო პოლონელ სპორტსმენად აღიარეს თანამემამულეებმა. როცა ორივენი სპორტს ჩამოვცილდით, მაინც ვმეგობრობდით, მაგრამ შემდეგ პოლიტიკურ ინტრიგებში გაიხლართა, რაღაც დააბრალეს და ჩვენი ურთიერთობაც შეწყდა. კიდევ ვიმეორებ: მისი დარი სპორტსმენი იშვიათად თუ მინახავს.

**● ნუგზარ ასათიანი, გურამ კოსტავა, მორის სახვაძე, ძმები გოგელიები, იური ოსიპოვი... ქართული ხაფარიკაო სკოლის ეს „ვარსკვლავები" ნებისმიერი ქვეყნის გუნდს დაამშვენებდნენ, თქვენ კი საკავშირო ნაკრებში გაფანტულებს არ შეგძლეოდათ საშუალება სახელი და დიდება მოგეტანათ საქართველოსთვის, პირდაპირ, მოსკოვის გვერდის ავლით.**

— არც უმაგისობა იყო და სწორედ რესპუბლიკის ღირსების დაცვა გახდა ჩემი და გურამ კოსტავას საკავშირო ნაკრებიდან წამოსვლის მიზეზი. 1968 წელს, მეხიკოს ოლიმპიადის წინ, უკანასკნელი შეკრება გვქონდა წახკაძორში. ამავე დროს საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრები ეგვიპტეში უნდა გამგზავრებულიყო საერთაშორისო ტურნირში სასპარეზოდ. მე და გურამი ნაკრების კანდიდატები ვიყავით. მივხვდით, ალტერნატივა ასეთი იყო: ან ოლიმპიადის საგზური ან საქართველოს სახელით საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა, მით უმეტეს, გუნდს ვჭირდებოდით. მე და გურამი არც დავფიქრებულვართ, ისე წავედით ეგვიპტეში. გამოვედით შეჯიბრებაზე, გუნდური I ადგილი დავიკავეთ. ეგვიპტიდან ჩამოსვლისთანავე წახკაძორში ჩავედით. მეორე დღეს გაიმართა ბოლო საკონტროლო შეხვედრები, რომელთაც უნდა დაესახელებინათ ნაკრების კანდიდატთა ვინაობა. მე და გურამმა ყველა შეხვედრა მოვიგეთ, გვეგონა, მეხიკოშიც წავიდოდით, მაგრამ მე შარი მომდეს — აკლიმატიზაციას ვერ მოასწრებ, მეხიკოს ჰავას ვერ შეეგუები, წნევა მაღალი გაქვს, მის „დასაგდებად" 2 კვირა მაინც გვჭირდებაო. არადა 6-7 დღეში გუნდი მეხიკოში მიფრინავდა. მოკლედ, გურამსაც რაღაც მოუგონეს და ორივენი შეკრებიდან შინ დავბრუნდით.

**● ამას წინათ, ორხევში გაიხსნა ხაფარიკაო დარბაზი „კამარა". გაერთიანება „ხაქინტურისტმშენის" ხელმძღვანელის, ბატონ თამაზ ლეჟავას ამ კეთილ წამოწყებას — ხელი შეუწყოს ფარიკაობის განვითარებას საქართველოში — თქვენი კოლეგები, ძველი მოფარიკავენი, დიდი სიხარულით შეხვდნენ: თანაც, ორხევში მარტო დარბაზი როდი აშენდა — შეიქმნა მოფარიკავეთა კლუბი „კამარა", რომელმაც დაარსებიდან ორიოდე თვეში საქართველოს ჩემპიონობაც მოიპოვა. როგორია თქვენი აზრი ამ ფაქტთან დაკავშირებით?**

— თამაზ ლეჟავას ჩანაფიქრი და ის, რაც უკვე განახორციელა, მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. წარმოიდგინეთ, კაცმა, რომელსაც უზარმაზარი ორგანიზაცია აბარია, უამრავი საქმე აქვს გასაკეთებელი, მაინც მოიცალა სპორტისთვის და ახალგაზრდებს დარბაზი აუშენა, სპორტული კლუბი, რომელიც ჩვენში იშვიათობაა, ჩამოაყალიბა. მალე კოლეჯის შექმნასაც აპირებს, სადაც სპორტსმენები ისწავლიან. ეს კაცი ისე ზრუნავს ახალგაზრდა სპორტსმენებზე, რომ ბევრი, ვისაც სამსახურებრივად სწორედ ეს ევალება, მას ვერ შეედრება. ასეთები გვიმრავლოს ღმერთმა.

**● ბატონო ნუგზარ, თქვენ ოლიმპიური ჩემპიონი ხართ. ამის მიღწევა კი უძნელესი საქმეა. გვითხარით, თუ უხერხული არ არის, მაინც რა თვისებებმა განაპირობა თქვენი დიდ სპორტსმენად ჩამოყალიბება?**

— ამაზე, ალბათ, ეს ფაქტი „გიამბობთ": რაც თავი მახსოვს, საკავშირო ნაკრებში ყოველთვის მე ვიწყებდი ორთაბრძოლებს. ეს კარგიც არის — ყველაზე საიმედო მოფარიკავის სახელი მქონდა, მაგრამ, ამავდროულად — ცუდიც: თუ დავმარცხდებოდი და ჩემი თანაგუნდელებიც ცუდად იასპარეზებდნენ, წაგებას მე მაბრალებდნენ: შენმა მარცხმა უარყოფითი ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა სხვებზეო.

და კიდევ, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, ალბათ შრომისმოყვარეობამ განაპირობა ჩემი წარმატებები. თუმცა, ამას რად უნდა ფიცი — უშრომლად რაიმე სერიოზულ საქმეზე ფიქრიც ზედმეტია. აი, ჩემს ვაჟებს — ნუგზარს და ნიკას კი დაჰყვათ ფარიკაობის ნიჭი და სიყვარული, მაგრამ შრომა ვერ შევაყვარე და მომკალით. ამიტომ ოცნება — ერთ-ერთი მაინც გაჰყოლოდა ჩემს გზას — აუსრულებელი დამრჩა. თუმცა, პატარა ნიკა ასათიანი — ჩემი შვილიშვილი, რადაც უნდა დამიჯდეს, მოფარიკავედ უნდა გავზარდო...

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბატონო ნუგზარ!

ერთსაც დავძენდი. ამ კაცში იმდენად უსაზღვროა ფარიკაობის სიყვარული, რომ ახლაც მისი თითოეული მოძრაობა მისსავე ლამაზ, დიდებულ სპორტულ წარსულს მოგაგონებს: გამომშვიდობებისას ისეთი პოზა „დაიჭირა", გეგონებოდათ, საფარიკაო ბილიკზეა დგომში გაჩერებული, სადაცაა იერიშს წამოიწყებს და მეტოქეს საბედისწერო ჩხვლეტას მიაყენებსო...

ესაუბრა
**ლევან ჯავახიშვილი.**

---

# [illegible]ელსაც დედოფლისწყაროელები

**თელავში** გამართულ საქართველოს 1991 წლის თასის გათამაშებაში 32-კილოგრამიანი საწონების აწევაში, როგორც ყოველთვის, პირველობისათვის სამი გუნდი იბრძოდა — დედოფლისწყაროს (ყოფილი წითელწყარო), თელავისა და ოზურგეთისა. შარშანდელივით, წელსაც დედოფლისწყაროელმა ძალოსნებმა დაისაკუთრეს უძლიერესთა წოდება. უნდა აღინიშნოს, რომ მათი გუნდის ასეთი მიღწევები დედოფლისწყაროს სამრეწველო კომბინატის დირექტორის ვ. კიკილაშვილის დამსახურებაა — იგი ნიადაგ მხარში უდგას ძალოსნებს და ხელს უწყობს სპორტის ამ სახეობის განვითარებას, რაც ნამდვილად მისაბაძია სხვათათვის. მართალია, შეჯიბრება ნორმალურად ჩატარდა, მაგრამ ერთმა ფაქტმა მაინც დაბადა ჩვენში უკმარისობის გრძნობა: ორი დღე ისე გავიდა, რომ ადგილობრივი სპორტკომიტეტის წარმომადგენლები ღონისძიებას არ დასწრებიან.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: 70 კგ. ვალერი პეტროსიანმა (დედოფლისწყარო); 80 კგ. ვაჟა პაატაშვილმა (თელავი); 90 კგ. ამირან უგულავამ (წყალტუბო); 90 კგ ზე მძიმე. გეორგ. ანომიანი (დედოფლისწყარო).

გუნდური ადგილები კი ასე განაწილდა; 1. დედოფლისწყარო; 2. თელავი; 3. ოზურგეთი.

**ვალერიან შავიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზადებიან...

# მუშაობა უფრო საინტერესო გახდა

**მეორე** ეროვნული ჩემპიონატის დაწყების წინ შევხვდით ხობის „კოლხეთის" უფროს მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს თეიმურაზ გრძელიშვილს და ვთხოვეთ რამდენიმე კითხვაზე გაეცა პასუხი.

**● ხობის „კოლხეთი" ბოლო წლებში საკმაო წარმატებებით ართმევდა თავს საფეხბურთო ბატალიებს, აი, ეროვნულ ჩემპიონატში კი მეთერთმეტე ადგილი დაიკავა. რა არის მიზეზი?**

— „კოლხეთი" მართლაც მიეჩვია გამარჯვებებს. მაგრამ მაშინ შედარებით სუსტ მეტოქეებთან უხდებოდა თამაში. ამასთან, ყოველთვის ერთნაირი ალმაცლობით ვერც ერთი გუნდი ვერ ითამაშებს. საქართველოს ადრინდელი პირველობები არ იყო მაღალი რანგის შეჯიბრებები, არც საკავშირო სარბიელზე გაგვიჭირდებოდა, რადგან იქ ძირითადად ერთნაირი ხელწერის გუნდები თამაშობენ. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კი სულ სხვაა. აქ სხვადასხვა სიძლიერის გუნდები თამაშობენ, მწვრთნელებსაც ათასი თავსატეხი გაგვიჩნდა, მაგრამ მუშაობა უფრო საინტერესო გახდა.

**● თქვენი აზრი ეროვნულ ჩემპიონატზე: ბევრის, მათ შორის სპეციალისტთა აზრით ქართული ფეხბურთის დონე დაქვეითდა.**

— ეს აზრი ჩემთვის ცნობილია, მაგრამ მე არ ვეთანხმები. ვფიქრობ, პირიქით ხდება. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით ჩვენი ნაკრების პოტენციალი. საკუთარ გუნდზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ განა ზუგდიდის „ოდიში" და გალის „მზიური" უკეთ არ თამაშობენ, ვიდრე 3-4 წლის წინ? თბილისის, რუსთავის, ლანჩხუთის, სოხუმის კლუბები კვლავაც იქნებიან ლიდერები და ჩვენი ფეხბურთის ფლაგმანები. ჩვენ ეს კარგად გვესმის და გვსურს გავუტოლდეთ მათ. საერთოდ კი, უცილობელი ჭეშმარიტებაა: ქართული ფეხბურთის დონის ასამაღლებლად საჭიროა საერთაშორისო სარბიელზე გასვლა.

**● შარშანდელ ჩემპიონატში შედარებით წარუმატებელი გამოსვლა მეტოქეთა სიძლიერით ახსენით. მხოლოდ ეს იყო მიზეზი?**

— რასაკვირველია არა. ბევრ ძლიერ კოლექტივს მოვუგეთ და არაერთი, სანახაობრივად საინტერესო მატჩი ვუჩვენეთ მაყურებელს. პირველი წრის შემდეგ მე-7 ადგილზე ვიყავით, მერე კი გუნდიდან ერთბაშად 6 ფეხბურთელი წავიდა, შესაფერისი შევსება ვერ მივიღეთ და... მართალია, შინ ერთი თამაშის მეტი არ წაგვიგია. მაგრამ ვერც სტუმრად მოვიგეთ ერთ მატჩზე მეტი. ასე რომ, სტუმრად თამაში ჩვენი აქილევსის ქუსლი იყო შარშანდელ სეზონში. ხელი შეგვიშალა ზოგიერთი ვაიგულშემატკივრის საქციელმაც, რის გამოც მწარედ დავისაჯეთ და რამდენიმე თამაში ნეიტრალურ მოედანზე გავმართეთ. ცხადია, ეს მატჩები შინ რომ ჩაგვეტარებინა, შედარებით უკეთესი შედეგის იმედი უნდა გვქონოდა.

**● როგორ მოემზადეთ წლევანდელი ჩემპიონატისთვის, რა ცვლილებებია გუნდში?**

— ვარჯიში ჯერ საკუთარ ბაზაზე დავიწყეთ, შემდეგ საწვრთნელი ციკლი ორ ეტაპად გავიარეთ ეშერაში, ამჟამად გუნდი ისევ ხობშია. ჩავატარეთ რამდენიმე საკონტროლო მატჩი. ბიჭები კარგ ფორმაში არიან. სოხუმის „ცხუმში" გადავიდა გაიოზ ჯეჯელავა. მოვიწვიეთ ოთხი ფეხბურთელი: სამტრედიის „სანავარდოდან" ირაკლი გოგაძე, სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებული ხობელი ანზორ შურღაია, მოსკოვის „დინამო-2"-დან ბორის სპირინი, კუზბასის „კემეროვოდან" ვიქტორ პიმუშინი. უცხოტომელთა მოწვევა, ცხადია, სასურველი არ გახლავთ, მაგრამ გაისად შევსებას ველით ხობის ოლიმპიური რეზერვის სკოლიდან, სადაც არაერთი პერსპექტიული ახალგაზრდა იზრდება. ისინი „კოლხეთი-2"-ის სახელით საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში იასპარეზებენ.

**● კლუბის ხელმძღვანელობაშიც ხომ არ არის ცვლილება?**

— კლუბის პრეზიდენტად არჩეულია გიზელი გოგილავა — ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ჭეშმარიტი გულშემატკივარი. ვიცე-პრეზიდენტია ზურაბ ბუბუტეიშვილი, მენეჯერი — პაატა თათარიშვილი. მწვრთნელად კვლავ ფრიდონ გოცირიძე იმუშავებს, მწვრთნელ სელექციონერად მოვიწვიეთ ყოფილი ფეხბურთელი ელდარ გვასალია. გვეყოლება ექიმი, მასაჟისტი და რაც მთავარია, ოპერატორი, რომელიც ყველა თამაშს აღბეჭდავს ფირზე. ვეცდებით გავამართლოთ ხობელ გულშემატკივართა ნდობა და იმედი. ჩვენს გულშემატკივართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გასულ წელს „კოლხეთის" სტადიონზე ყველაზე მეტი მაყურებელი მოვიდა რესპუბლიკაში. ქართული ფეხბურთის ყველა ერთგულ გულშემატკივარს ვულოცავ ახალი ჩემპიონატის დაწყებას.

**ესაუბრა ნუგზარ ჟვანია,**
**„ლელოს" საკ. კორ.**

# დებიუტანტის საბრძოლო განწყობა

## გზა მშვიდობისა, „მარგვეთო"!

**შარშანდელ** საფეხბურთო ჩემპიონატში ზესტაფონის „მარგვეთმა" ჩინებულად იასპარეზა — თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში პირველ ადგილზე იყო, საბოლოოდ კი ვანის „სულორის" შემდეგ პირველ ჯგუფში მოასპარეზეთა შორის მეორე ადგილი დაიკავა და უმაღლესი ჯგუფის საგზური მოიპოვა.

გუნდის სამომავლო გეგმებზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება კლუბის პრეზიდენტი თამაზ შარაშენიძე.

**● პირველ ყოვლისა, ცხადია, ახალი სეზონისათვის მზადებაზე გკითხავთ...**

— სამზადისის ბოლო, გადამწყვეტი ეტაპი ჩვენმა გუნდმა სოჭში გაიარა, სადაც მთავარი მწვრთნელის ჯონი ჯანელიძის მცდელობით, ჩემი აზრით, ცუდად არ მოვემზადებულვართ. აქვე გავმართეთ რამდენიმე საწვრთნელი მატჩი, საბოლოოდ დაზუსტდა გუნდის ძირითადი შემადგენლობაც.

**● რა ცვლილებები მოხდა „მარგვეთში?"**

— ცვლილებები მართლაც საკმაოდ არის: კლუბი დატოვა რამდენიმე გამოცდილმა ფეხბურთელმა, მათ შორის „მარგვეთის" ლიდერმა მურმან აკოფიანმა. თბილისის „იბერიიდან" მოვიწვიეთ მეკარე დევაძე და თავდამსხმელი კერძევაძე. ჩვენთან თამაშის სურვილი გამოთქვეს ქუთაისელებმა ჯუღელმა და წიკლაურმა, ფოთის „კოლხეთი-1913"-დან მივიღეთ ავრამიდისი და ინიაშევი.

**● რას ისახავს მიზნად ჯგუფის დებიუტანტი წლევანდელ ჩემპიონატში?**

— ჩვენს გუნდში საკმაოდ გამოცდილმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი, კლუბში ჯანსაღი ატმოსფეროა, მოთამაშეებიც საბრძოლველად არიან განწყობილნი. თავს არ დავზოგავთ, რათა ჩვენს გულშემატკივრებს ლამაზი, შემტევი ფეხბურთი ვაჩვენოთ.

**დავით ლამბაშიძე**
**„ლელოს" საკ. კორ.**

ევროპის ჩემპიონატი: ცოტა რამ ისტორიიდან

# ფინალი დიდი ანგარიშით

**ევროპის** მეორე ჩემპიონატი 1970-72 წლებში გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო ევროპის 32 ქვეყნის ნაკრებმა გუნდმა. ჩემპიონატის ჩატარების ფორმულა არც ამჯერად შეცვლილა.

მონაწილე გუნდები გეოგრაფიული პრინციპით განაწილდნენ და შექმნეს 8 შესარჩევი ჯგუფი. I ჯგუფი — რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, უელსი, ფინეთი. II ჯგუფი — უნგრეთი, საფრანგეთი, ბულგარეთი, ნორვეგია, III ჯგუფი — ინგლისი შვეიცარია, საბერძნეთი, მალტა. IV ჯგუფი — სსრკ, ესპანეთი, ჩრდ. ირლანდია, კვიპროსი. V ჯგუფი — ბელგია, პორტუგალია, შოტლანდია, დანია. VI ჯგუფი — იტალია, ავსტრია, შვეცია, ირლანდია. VII ჯგუფი — იუგოსლავია, ჰოლანდია, გდრ, ლუქსემბურგი, VIII ჯგუფი — გფრ, პოლონეთი, თურქეთი, ალბანეთი.

მეოთხედფინალში გამარჯვებული გუნდები მიმოსვლით არკვევდნენ ერთმანეთში ურთიერთობას. აი, ამ ეტაპზე გამართული შეხვედრების შედეგები: გფრ — ინგლისი 3:1, 0:0, ბელგია — იტალია 2:1, 0:0, სსრკ — იუგოსლავია 3:0, 0:0, უნგრეთი — რუმინეთი 1:1, 2:2, 2:1.

დასკვნითი ეტაპი — ნახევარფინალები და ფინალი ჩატარდა ბელგიის ოთხ ქალაქში. ანდერლეჰტში, ანტვერპენში, ლიეჟში, ხოლო ფინალურ მატჩს ბელგიის დედაქალაქმა ბრიუსელმა უმასპინძლა.

პირველ ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები. შეხვედრა მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 1:0. ბურთი 53-ე წუთზე კონკოვმა გაიტანა, უნგრელმა ზამბომ ვერ გამოიყენა პენალტი.

გუნდების შემადგენლობა: სსრკ — რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი, კონკოვი, ტროშკინი, კოლოტოვი, ბაიდაჩნი, ბანიშევსკი (გ. ნოდია) ონიშჩენკო. უნგრეთი — გეცი, ფაბიანი, პანჩიჩი, ბალინტი, პ. იუჰასი, ი. იუჰასი, კოჩიში (ალბერტი), კიუ, სეკე, ბენე (დუნაი), ზამბო.

მატჩს სჯიდა რ. გლიოკნერი (გდრ). თამაში ჩატარდა ანდერლეჰტში. 1972 წლის 14 ივნისს „პარკ ასტრიდის" სტადიონზე, შეხვედრას დაესწრო 3.000. მაყურებელი.

მეორე ნახევარფინალი — ბელგია — გფრ 1:2. ეს შეხვედრა კი ანტვერპენში გაიმართა. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ბელგიელებმა აჯობეს უნგრეთის გუნდს ანგარიშით 2:1.

ფინალი გფრ — სსრკ შედგა ბრიუსელში „ეიზელის" სტადიონზე 1972 წლის 18 ივნისს. მატჩს 65000 მაყურებელი დაესწრო. მატჩს სჯიდნენ ფ. მარშალი, ე. ლინემაიერი, ა. ლეგელი (ყველა ავსტრია). გერმანელებმა ძლიერად ჩაატარეს ეს მატჩი და გაიმარჯვეს 3:0. გუნდების შემადგენლობა: გფრ — მაიერი, ჰიოტგესი, ბრაიტნერი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ვიმერი, ჰეინკესი, ჰიონესი, გ. მიულერი, ნეტცერი, კრემერსი.მწვრთნელი — ჰ. შიონი.

სსრკ — რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი, კოლოტოვი, ტროშკინი, ბაიდაჩნი, ბანიშევსკი (კოზინკევიჩი), კონკოვი (დოლმატოვი), ონიშჩენკო, მწვრთნელები: ა. პონომარიოვი, ნ. გულიაევი. გოლები გაიტანეს. გ. მიულერმა (27,58 წთ.) და ვიმერმა (51 წთ.) ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა დასავლეთგერმანელი გ. მიულერი 11 გოლი.

ზუსტად ორი წლის შემდეგ 1974 წლის ივლისში გერმანელები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. მათ რიგებს შეემატნენ ფოგტსი, ოვერატი, ჰოლცენბაინი, ბონჰოფი, გრაბოვსკი, ფლოე, კულმანი, ჰერცოგი.



პაულ ბრაიტნერი.



ბურთთანაა გ. მიულერი.

**მიხეილ საგანხტარიშვილი**

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### კრუიფი გამოჯანმრთელდა

**როგორც** უცხოური პრესა იუწყება, ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელის, ესპანეთის „ბარსელონის" მწვრთნელის იოჰან კრუიფის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა — გადატანილი ოპერაციის შემდეგ იგი უკეთ გრძნობს თავს. მოსალოდნელია, რომ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში იგი კვლავ უხელმძღვანელებს თავის გუნდს.

ექიმებმა ი. კრუიფს კატეგორიულად აუკრძალეს თამბაქოს მოწევა, უწინ კი იგი დღის განმავლობაში დაახლოებით ორ კოლოფ სიგარეტს ეწეოდა, გარდა ამისა, ემოციურობითაც გამოირჩეოდა და ძალზე ნერვიულობდა თავისი გუნდის თამაშების დროს.

ერთი სიტყვით, ი. კრუიფი გამოჯანმრთელდა და მალე კვლავ დაუბრუნდება ფეხბურთს.

### რომარიო ნაკრებს ემდურის

ცნობილმა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა რომარიომ, რომელიც ახლა ჰოლანდიის კლუბ „პსვ ეინდჰოვენში" თამაშობს, განაცხადა, რომ ნაწყენია და ბრაზილიის ნაკრებში აღარასოდეს ითამაშებს.

იკითხავთ, ალბათ, ვინ გაანაწყენა ეს საკმაოდ პოპულარული ფეხბურთელი? როგორც რომარიომ განაცხადა, მთელი მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში მწვრთნელი ხან რას იმიზეზებდა, ხან რას და, საბოლოოდ, მხოლოდ ერთ მატჩში აღირსა მონაწილეობა.

### უტევენ ბეკენბაუერს

საფრანგეთის მწვრთნელთა ასოციაციის პრეზიდენტმა გი რუმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ფრანც ბეკენბაუერს ამ ქვეყანაში არსებული წესების თანახმად, ნება არა აქვს იყოს მარსელის „ოლიმპიკის" ტექნიკური დირექტორი სათანადო ლიცენზიის უქონლობის გამო. მისთვის გაუგებარია, რისთვის ირღვევა წესი და რა აუცილებლობა მოითხოვს უცხოელი სპეციალისტის მოწვევას.

### საბენეფისო მატჩი

მას შემდეგ, რაც ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ბრაიან რობსონი ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ თავის კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედს" დაუბრუნდა, გუნდმა გადაწყვიტა მისი საბენეფისო მატჩის გამართვა.

ბ. რობსონი ამ კლუბში უკვე 10 წელია თამაშობს. მატჩის მთელი შემოსავალი მას გადაეცემა.




# 100 ათასი და მეტი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა მსოფლიოს უდიდესი სტადიონების სია, სადაც ეტევა 100 ათასი და მეტი მაყურებელი.

**„მარაკანა"** (ბრაზილია) — 165.000

**ეროვნული სტადიონი** (ფხენიანი, ჩრდ. კორეა) — 150.000

**„მაგალიაეშ პინტუ"** (ბრაზილია) — 125.000

**„მორუმბი"** (ბრაზილია) — 120.000

**„და ლუზი"** (პორტუგალია) — 120.000

**„სენაიან მაინ სტადიუმი"** (ინდონეზია) — 120.000

**„კასტელაო"** (ბრაზილია) — 119.000

**„არუდაო"** (ბრაზილია) — 115.000

**„აცტეკა"** (მექსიკა) — 115.000

**„ნოუ კამპი"** (ესპანეთი) — 115.000

**„ნასტერ სტადიონი"** (ეგვიპტე) — 100.000

**„ედენ გარდენი"** (ინდოეთი) — 100.000

**„კორანგორეიზნი"** (ინდოეთი) — 100.000

**„აზადი"** (ირანი) — 100.000

**„ცრვენა ზვეზდა"** (იუგოსლავია) — 100.000

**ცენტრალური სტადიონი** (ციევი, სსრ კავშირი) — 100.000



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# „ელექსით“ და ჩვეულებრივი სისტემით

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები კვლავ არეული გრაფიკით ტარდება და ძნელი დასადგენი ხდება, ვინ არის დაწინაურებული და ვინ „მიჩანჩალებს“ კუდში. ძნელი დასადგენია იმიტომ, რომ ზოგ გუნდს ჩატარებული აქვს 21 შეხვედრა, ზოგს კი მხოლოდ 13. სხვათა შორის, უნივერსალური რეიტინგის („ელექსის“) მიხედვით სატურნირო ცხრილი ერთგვარად გამოიყურება, ჩატარებული მატჩებისა და მოპოვებული ქულების მიხედვით კი სხვაგვარად.

„ელექსის“ რეიტინგით, მაგალითად, ტალინის „კალევი“ პირველ ადგილზეა, ვინაიდან მას ყველაზე ცოტა წაგება აქვს, ქულათა დარიცხვის ჩვეულებრივი სისტემით კი იგი სატურნირო ცხრილში მერვე ადგილზე იმყოფება.

„ბ“ ჯგუფის გუნდების შეჯიბრებაში თბილისის „დინამო“ პირველ ადგილზეა, ვინაიდან მან თავის უახლოეს მეტოქეზე, მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდზე მეტი შეხვედრა ჩაატარა და ქულაც მეტი დააგროვა. მაგრამ „ელექსის“ რეიტინგით წინ არიან ბელორუსიის კალათბურთელები, ვინაიდან მათ არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ და, ფაქტობრივად, 100-პროცენტიანი მოსწრება აქვთ.

გთავაზობთ ბოლო კვირის მანძილზე გამართულ შეხვედრათა შედეგებს:

**„ა“ ჯგუფი:** „სპარტაკი“ (ლუგანსკი) — ვეფ 84:90, „დინამო“ (მოსკოვი) — „კალევი“ (ტალინი) 65:81, ასკ (კიევი) — „სტროიტელი“ (სამარა) 51:78.

**„ბ“ ჯგუფი:** „ავტოდოროჟნიკი“ (სარატოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 90:82, „სტროიტელი“ (მოსკოვის ოლქი) — „კრასნი კოტელშჩიკი“ (ტაგანროგი) 113:112, ასკ (რიგა) — „სტროიტელი“ (ირკუტსკი) 82:72, რტი — „შახტიორი“ (ნერიუნგრი) 103:78, „იმპულსი“ (კრასნოდარი) — „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) 117:101, „ავტოდოროჟნიკი“ — „კრასნი კოტელშჩიკი“ 77:110, „სტროიტელი“ (მოსკ. ოლქი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 94:88, ასკ (რიგა) — „შახტიორი“ (ნერიუნგრი) 91:71, „იმპულსი“ — „დინამო“ (ბეშკეკი) 117:102, რტი — „სტროიტელი“ (ირკუტსკი) 100:81

გათამაშების ცხრილები:

„ა“ ჯგუფი

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| ვეფ (რიგა) | 13 | 5 | 31 |
| „სპარტ.“ (ლენინგრ.) | 13 | 5 | 31 |
| „ბუდიველნიკი“ (კ.) | 12 | 6 | 30 |
| ასკ (ალმა-ათა) | 12 | 5 | 29 |
| ცსკა | 9 | 9 | 27 |
| „სტროიტ.“ (სამარა) | 6 | 15 | 27 |
| „დინამო“ (მოსკ.) | 10 | 5 | 25 |
| „კალევი“ (ტალინი) | 10 | 3 | 23 |
| ასკ (კიევი) | 6 | 11 | 23 |
| „სპარტ.“ (ლუგანსკი) | 6 | 11 | 23 |
| ნკი (ნიკოლაევი) | 4 | 13 | 21 |
| „უზსტროიმ.“ (ტაშკენტი) | 2 | 15 | 19 |

„ბ“ ჯგუფი

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბილისი) | 14 | 3 | 31 |
| რტი (მინსკი) | 15 | 0 | 30 |
| ასკ (რიგა) | 11 | 5 | 27 |
| „იმპულსი“ (კრასნ.) | 10 | 7 | 27 |
| „ლოკ.“ (ნოვოსიბ.) | 9 | 9 | 27 |
| „ავტოდორ.“ (სარატ.) | 8 | 10 | 26 |
| „კრ. კოტ.“ (ტაგანრ.) | 9 | 7 | 25 |
| „შახტ.“ (ნერიუნგრი) | 7 | 9 | 23 |
| „სტროიტ.“ (მოსკ. ოლქი) | 5 | 13 | 23 |
| „სტროიტ.“ (ირკუტ.) | 7 | 8 | 22 |
| „დინამო“ (ფრუნზე) | 3 | 15 | 21 |
| „შახტ.“ (დონეცკი) | 3 | 15 | 21 |

## სიმონ გალეგაშვილი



ჯანღონით სავსე ვაჟკაცთან პირდაპირ მისვლას რას გაბედავდნენ, ცხოველური ინსტიქტით შეპყრობილი ოსი ექსტრემისტები, ქურდულად, შუაღამისას ლოგინში წამოეპარნენ და წამებით გამოასალმეს სიცოცხლეს, თუმცა, როგორც ამბობენ, რვა თავდამსხმელს არც თუ ადვილად მოუთავებიათ ბინძური საქმე — სიმონ გალეგაშვილი უთანასწორო ბრძოლაში, მართლაც რაინდულად შეკვდომია ბანდიტებს.

სიმონი ოთხი შვილის მამა იყო, ერედვის საშუალო სკოლაში მუშაობდა ფიზკულტურის მასწავლებლად. ერთი წუთითაც არ უფიქრია ქართული მიწა-წყლიდან გაეხიზნა ცოლ-შვილი, არ უშინდებოდა მუქარას, მზად იყო სამშობლოსათვის სიცოცხლე შეეწირა და აკი შეწირა კიდეც.

სიმონ გალეგაშვილს სპორტული ოჯახი ჰქონდა. მთელი რესპუბლიკა იცნობდა სიმონ გალეგაშვილის ჯალაბობას, როგორც საოჯახო რესპუბლიკურ სპარტაკიადებში არაერთგზის გამარჯვებულს, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელია მისი მეუღლეც — ქალბატონი მზია. უფროსი შვილი ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტია.

კიდევ ერთი ვაჟკაცი დაკარგა საქართველომ...

„ლელოს„ რედაქცია



# საქართველოს და უკრაინის სახელით

**შოტაკან კარატეს საქართველოს ეროვნული ნაკრების გუნდის წევრია კახა ბასილია, რომელიც 1985 წლიდან უკრაინაში სწავლობს და კარატეს ამ სტილის უკრაინის ასოციაციის პრეზიდენტია.**

კახა ბასილია საქართველოს სახელით შარშან ლიმაში გამართულ ტრადიციულ კარატისტთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა, შემდეგ თურქეთშიც საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდა, ამ დღეებში კახა ჩებოქსარში უკრაინის სახელით ასპარეზობდა და ქვეყნის პირველობაზე შოტაკან კარატეში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. პირველად კი ჩემპიონი 1989 წელს გახდა, რაზედაც თავის დროზე ჩვენი გაზეთიც წერდა.

● **როდის ამთავრებთ სწავლას უკრაინაში?** — ვკითხეთ კახა ბასილიას, რომელიც გუშინ გვეწვია რედაქციაში.

— ბოლო კურსზე ვარ, წელს დავამთავრებ და დავბრუნდები სამშობლოში.

● **რა სპეციალობას მიიღებთ?**

— ხის მრეწველობის ეკონომისტისას. სასწავლებლად უკრაინაში თბილისის ხის დამმუშავებელმა კომბინატმა (ამჟამად თბილისის საავეჯო დეტალების კომბინატი) გამგზავნა. მამაჩემი 30 წელიწადია ამ კომბინატში მუშაობს.

● **გააგრძელებთ კარატეში ვარჯიშს?**

— მე ვთვლი, რომ პროფესიონალი ვარ, შეიძლება საქართველოს დღეს როგორც სპორტსმენი უფრო გამოვადგე.

**სურათზე:** კახა ბასილია ასპარეზობისას.

# ტურნირები და შედეგები

● **ჩოგბურთი.** მსოფლიო თასის პირველი გათამაშება ქალთა შორის, რომელიც 1991 წლის 2 დეკემბერს უნდა დაწყებულიყო (საპრიზო ფონდი 3 მილიონ დოლარს შეადგენდა), აღარ ჩატარდება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო „ინტერნეშნლ მენეჯმენტ გრუპ“-ის ფირმამ, რომელიც შეჯიბრების ოფიციალურ ორგანიზატორად ითვლებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ დაახლოებით იმავე ვადებში, ან უფრო სწორად, ერთი კვირის შემდეგ, (1991 წლის 9 დეკემბერს), დაგეგმილია „დიდი მუზარადის თასის“ ტურნირის სტარტი, ქალთა შორის ორი ასეთი შეჯიბრების „მეზობლობა“ კი, ორგანიზატორთა აზრით, ყოვლად დაუშვებელია.

● **ფეხბურთი.** **საფრანგეთის ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრის წინადადებით, პირველი დივიზიონის შემადგენლობა ალბათ, ოციდან თვრამეტ გუნდამდე შემცირდება. მაგრამ ამას, სულ ცოტა, ორი წელი მაინც დასჭირდება. მინისტრის აზრით, შემცირება საჭიროა იმიტომ, რომ ფრანგული კლუბების ვალმა (დაახლოებით 200 მილიონი დოლარი) ყველა დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა. როგორც გაირკვა, ყველაზე დიდი მევალე (60 მილიონი დოლარი) „ბორდო“ ყოფილა.**

● **ბადმინტონი.** ინგლისის ღია ჩემპიონატში მონაწილეობს მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი ოსტატი. ასპარეზობას, ფაქტობრივად, ყველა საბჭოთა ათლეტი გამოაკლდა. ევროპის 1988 წლის ბრინჯაოს პრიზიორი ანდრეი ანტროპოვი დამარცხდა დანიელ მორტენ ფროსტთან — 8:15, 9:15. ბრძოლა შეწყვიტეს, აგრეთვე, ნატალია ივანოვამ და ვლადა ჩერნიავსკაიამ.

ჭადრაკი ● საქართველოს პირველობა ● I ლიგა

# „მეშახტეში“ — პირველად



**საკმაო** ხანია, წყალტუბო ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ უმთავრეს საჭადრაკო კერად იქცა. არაერთ საინტერესო ღონისძიებას უმასპინძლა ამ ლამაზმა ქალაქმა, თუმცა, სანატორიუმ „მეშახტეში“ პირველად გაიმართა საჭადრაკო ტურნირი, რომელსაც წყალტუბოს საჭადრაკო კლუბი „მერანი“ (დირექტორი — ჯ. ბერაძე) მასპინძლობს. პირველი ლიგის ვაჟთა საქართველოს პირველობაზე მოგახსენებთ, რომელიც ორ ეტაპად ტარდება. ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით იმართება და 7 ტურის შემდეგ გამოვლინდებიან ის უძლიერესი მოჭადრაკენი (17 მონაწილე), რომელნიც ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობენ.

2 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ დაწინაურდნენ ხვიჩა სუპატაშვილი (ქუთაისი) და ვიქტორ სემიონოვი (თბილისი). მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან კახა შალამბერიძე, ვასილ ვაშაკიძე, რევაზ კაკაბაძე, თემურ გათიკაევი (ყველა — თბილისი), რომან სიჭინავა (სენაკი), დავით ტიკურიშვილი (რუსთავი), ირაკლი ლვამიჩავა (ფოთი) და გიზო ჭურღულია (ზუგდიდი).

**ვასილ ვაშაკიძე**
„ლელოს“ სპეც. კორ.

თამაზ ქიქავას ფოტო.

იუმორი



— რამდენისაა?
— მეორე წელშია!

— თავი მტკივა, ექიმო!
— ??

უსიტყვოდ.

ვახტანგ კუციას ნახატები.

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საფეხბურთო კლუბი იუწყება, რომ გარდაიცვალა მარტვილის საფეხბურთო კლუბის „მარტვილის“ პრეზიდენტი

**გურამ ანდროს ძე ჭილაია**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ბ. ქორქია. კორექტორები: მ. ძიძიშიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-65
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-64.
„მერანი“ — 93-97-36, „მარათე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო ქაღალდზე, ბეჭდვის მეთოდი, 39.

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გვაქვს. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20